ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2957217

ნომერი: AR1456160

თარიღი : 13.11.2016

გაცემის თარიღი : 22.11.2016

გაცნობის თარიღი : 22.11.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი თამარ მეფე , N 24 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კონსტანტინე დგებუაძე პ/ნ 01017002402
- ქ. თბილისი, ალ. გრიბოედოვის 17

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის

24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის განხილვის შედეგად გაცნობებთ: სამსახურს წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით არ მიაჩნია ფასადზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელება. სარეკლამო აბრების მოწყობა განხორციელდეს ისე რომ მთლიანად შენარჩუნებულ იქნას ფასადზე არსებული ქვით მოპირკეთებული ნაწილი, სარეკლამო აბრით გადაფარვის გარეშე, ასევე ფასადიდან კონსტრუქციის გადმოწევა არ გადმოსცდეს მარცხენა მხარეს უკვე მოწყობის აბრას., რაც შეეხება პანდუსს და ბაქანს, ვინაიდან საკადასტრო საზღვარი გადის ზედ შენობის კონტურზე, ხოლო საპროექტო პანდუსი და ბაქანი სცდება საკადასტრო საზღვარს საჭიროა წარმოადგინოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტოდან შEსაბამისი თანხმობა, თუმცა ამასთანავე დამატებით მონტაჟზე უნდა იქნას დატანილი მთლიანი ტროტუასის სიგანე და ასევე ბანიდან ტროტუარის კიდემდე დარჩენილი მანძილი. გაცნობებთ: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14–39 დადგენილების, მუხლი 34, პუნქტი 3-ის თანახმად ტროტუარის კიდის ვერტიკალურ სარმოსახვითი სიბრტყიდან კიბეებამდე დარჩენილი, ბუნებრივი (ხე-ნარგავები, გაზონი) ან/და ხელოვნური (განათების ბოძი, მცირე არქიტექტურული ფორმები) წინაღობისაგან თავისუფალი, გასასლელის სიგანე უნდა იყოს მინიმუმ 1.8 მ.

ამასთან, გაურკვეველია თქვენი (მოქ. კონსტანტინე დგებუაძის) უფლებამოსილება. გაითვალისწინეთ, რომ არქიტექტურის სამსახურს განმცხადებლის/თანაგანმცხადებლის სახით უნდა მომართოს შ.პ.ს. " ფარგალი"-ს ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილმა პირმა (მისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ატვირთვით) ან მისი მინდობილობა ატვირთული უნდა იყოს "არსებობის შემთხვევაში წარმომადგენელის მინდობილობა/რწმუნებულების" ველში, იმ შემთხვევაში კი თუ თქვენ მოისაზრებით როგორც უფლებამოსილის პირი, ასეთ შემთხვევაში დამატებით წარმოდგენილი უნდა იყოს უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.